ქ. თბილისი 10.12.2018

№88

სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“
დირექტორს ბატონ ზვიად როსტომაშვილს

შპს „გამომცემლობა ტრიასი“-ის ს/კ:405060801
მის.: ქ.თბილისი; გოთუას ქ.№20; ბ. №44; ტელ.:579497799;
დირექტორის ბატონ ელდარ არსენაშვილის

შპს „გამომცემლობა პალიტრა L”-ის ს/კ:205236369
მის.: ქ.თბილისი; იოსებიძის ქ.№49; ტელ.:599150525;
დირექტორის ქალბატონ თინათინ ასათიანის

განცხადება

როგორც მოგეხსენებათ, შპს „გამომცემლობა ტრიასსა“ და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ შორის 04.08.2018 წელს გაფორმებულია „ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულება №04/08/18-382“. ხსენებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, შპს „გამომცემლობა ტრიასსა“ და შპს „გამომცემლობა პალიტრა L”-ს შორის 14.11.2018 წელს გაფორმდა ხელშეკრულება და 07.12.2018 წელს დამატებითი შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც, შპს „გამომცემლობა ტრიასი“ შპს „გამომცემლობა პალიტრა L”-ს გადასცემს გარკვეულ უფლება-მოვალეობებს. წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმების ასლებს და მოგმართავთ თხოვნით, გასცეთ თანხმობა აღნიშნულზე. თან ახლავს დანართი ----- გვერდად.

პატივისცემით,

ელდარ არსენაშვილი
შპს „გამომცემლობა ტრიასი“-ს დირექტორი

თინათინ ასათიანი
შპს „გამომცემლობა პალიტრა L”-ის დირექტორი

ხელშეკრულება

ქ.თბილისი 14.11.2018 წ.

1. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, შპს "გამომცემლობა პალიტრა L" (ს/კ:205236369) (შემდეგში მოხსენიებული როგორც "გამომცემლობა"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ასათიანის სახით, და

მეორე მხრივ, შპს გამომცემლობა ტრიასი (ს/კ:405060801), წარმოდგენილი მისი დირექტორის ელდარ არსენაშვილის სახით (შემდეგში მოხსენიებული როგორც "საავტორო უფლების მფლობელი") წინამდებარე ხელშეკრულებით ვთანხმდებით შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, საავტორო უფლების მფლობელის მიერ - ავტორ(ებ)ის მიერ შექმნილი ნაწარმოებ(ებ)ის (შემდეგში - „ნაწარმოები") გამოყენების (გამოცემის, გავრცელების, ილუსტრირების, სხვა ნაწარმოებთან ერთად გამოყენების, ელექტრონული და აუდიო ფორმით გამოყენების, გადამუშავების, თარგმნის, სხვაგვარად გამოყენების და ამ უფლებ(ებ)ის სხვისთვის გადაცემის უფლება) უფლებ(ებ)ის ექსკლუზიური გადაცემა გამომცემლობისთვის, რომელიც საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოების გამოყენებას ხელშეკრულებით განსაზღვრული წესისა და პირობების შესაბამისად.

2.2. 2.1. პუნქტში მითითებული ნაწარმოებ(ებ)ის აღწერა: ქართული ენა და ლიტერატურა, I-VI კლასი.

2.3. უფლებების გადაცემა გამომცემლობაზე ხდება გრიფირების ვადით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო), რაც ნიშნავს იმას, რომ გამომცემლობა უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული-გადმოცემული საავტორო უფლებები განკარგოს დამოუკიდებლად, ყოველგვარი დამატებითი თანხმობის გარეშე, გამომცემლობის შეხედულებისამებრ, მათ შორის გამომცემლობას საავტორო უფლების მფლობელი ანიჭებს ტირაჟის დამოუკიდებელი განსაზღვრის უფლებამოსილებას.

3. საავტორო და სხვა უფლებები

3.1. ავტორის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე არაქონებრივი საავტორო უფლებები ეკუთვნის ავტორს და მისი გამოყენება უნდა მოხდეს ავტორის სახელის ან მისი ფსევდონიმის მითითებით, ავტორთა ვინაობა, რომელთა ვინაობებიც დატანილ უნდა იქნეს გამომცემლობის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა განკარგვის დროს, განსაზღვრულია დანართი №1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

განსაკუთრებული პირობა: მხარეები თანხმდებიან და საავტორო უფლების მფლობელი წინასწარ აცხადებს თანხმობას, (რის შესახებაც საავტორო უფლების მფლობელი მისი განცხადებით ადასტურებს, რომ აქვს სრული უფლებამოსილება) რომ საგამომცემლო პროდუქტის შესაბამისად, ფორმის/ტიპის/სახის გათვალისწინებით, შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება ავტორის სახელის ან მისი ფსევდონიმის დატანა, იქ სადაც საგამომცემლო პროდუქტი იძლევა შესაძლებლობას დატანილ იქნას სახელი ან ფსევდონიმი, იქნება დატანილი.

3.2. ფსევდონიმის არსებობისა და მისი გამოყენების სურვილის შესახებ გამომცემლობას უნდა ეცნობოს წერილობით, გონივრულ ვადაში, ნაწარმოების გამოსაცემად მომზადების ეტაპზე.

3.3. ავტორის მიერ შექმნილი ნაწარმოების გამოყენების (გამოცემის, თარგმნის, ილუსტრირების, გავრცელების, გადამუშავების, სხვა ნაწარმოებთან ერთად გამოყენების, ელექტრონული და აუდიო ფორმით გამოყენების, სხვაგვარად გამოყენების და ამ უფლებების სხვისთვის გადაცემის უფლება) უფლება ეკუთვნის გამომცემელს, ექსკლუზიურად წინამდებარე ხელშკრულების დადებიდან ნაწარმოებ(ებ)ზე გრიფირების ვადით (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ მინიჭებული/მინიჭებადი გრიფი).

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

თ. ასათიანი

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5. ანგარიშსწორების წესი და პირობები

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების საავტორო უფლებათა მფლობელის მიერ გამომცემლობაზე გადაცემის სანაცვლოდ, გამომცემლობა გადასცემს საავტორო უფლებათა მფლობელს ჰონორარს, რომლის გამოთვლის წესი განსაზღვრულია დანართი №2-ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5.2. მხარეებს შორის ანგარიშსწორება განხორციელდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ან არაჯეროვნად შესრულებისათვის და ვალდებულნი არიან მეორე მხარეს აუნაზღაურონ მიყენებული ზიანი.

6.2. მხარეები პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდებიან, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მხარეთაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ან დაუძლეველი ძალის მოქმედებით, როგორიცაა: სტიქიური მოვლენები, ხანძარი, წყალდიდობა, ავარია, საომარი მოქმედებები, სახელმწიფო ორგანოების აქტები. რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტით.

6.3. მხარე, რომელსაც წარმოექმნა ხელშეკრულების 6.2. პუნქტით გათვალისწინებული გარემოება, ვალდებულია გონივრულ ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. ასეთ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ვადის დინება შეჩერდება ფორს-მაჟორული ვითარების მოქმედების განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ ფორსმაჟორული გარემოება გრძელდება 2 (ორი) თვეზე მეტი ვადით, გამომცემლობა იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება შეტყობინების გზით.

6.4. საავტორო უფლების მფლობელი ადასტურებს, რომ სწორედ იგი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაწარმოებზე კანონიერ და ერთადერთ საავტორო უფლებათა მფლობელს, შესაბამისად მას აქვს სრული უფლებამოსილება გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება და იძლევა გარანტიას, რომ მესამე პირებს არ აქვთ და არ ექნებათ პრეტენზია საავტორო უფლებებთან და ნაწარმოებთან დაკავშირებით, შესაბამისად საავტორო უფლების მფლობელი კისრულობს სრულ მატერიალურ ან/და არამატერიალურ პასუხისმგებლობას მესამე პირ(ებ)ისგან ნებისმიერი პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს გამომცემლობას ზიანი.

6.5. იმ შემთხვევაში თუ გამომცემლობა მიიღებს რაიმე საჩივარს მესამე პირის მხრიდან პლაგიატის თაობაზე, გამომცემლობა უფლებამოსილია მოსთხოვოს, ხოლო საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია მისი ხარჯით უზრუნველყოს შესაბამისი/სათანადო ექსპერტის დასკვნის გონივრულ ვადებში წარდგენა გამომცემლობისათვის.

6.6. საავტორო უფლების მფლობელი ადასტურებს, რომ მას წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გააჩნია ყველა იურიდიული საფუძველი, რაც ადასტურებს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების უფლებამოსილებას.

6.7. საავტორო უფლების მფლობელი ადასტურებს, რომ მას წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არ გააჩნია არანაირი ფინანსური დავალიანება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაწარმოებ(ებ)ის ავტორ(ებ)თან.

6.8. საავტორო უფლების მფლობელი ადასტურებს, რომ მას წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის გააჩნია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაწარმოებ(ებ)ის ავტორ(ებ)ისაგან, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამომცემლობაზე გადასაცემ უფლებათა განკარგვის უფლებამოსილება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. საავტორო უფლების მფლობელი *უფლებამოსილია* მოსთხოვოს გამომცემლობას ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.

7.2. საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულებას კისრულობს:

7.2.1. დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

7.2.2. საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს ნაწარმოების კორექტირებისა და რედაქტირების პროცესში, ყოველგვარი გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით;

7.2.3. საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს მონაწილეობა გამომცემლობის მიერ დაგეგმილ ნაწარმოების პოპულარიზაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებებში/აქტივობებში/პროექტებში;

7.2.4. დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გადასცეს მესამე პირებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეთანხმების პირობების შესახებ ინფორმაცია, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც;

7.2.5. აცნობოს გამომცემლობას მის მიერ მოწოდებულ საიდენტიფიკაციო, საბანკო და სხვა მონაცემებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;

7.2.6. გაითვალისწინოს გამომცემლობის მითითებები;

7.2.7. გადასცეს გამომცემლობას ნაწარმოები, გამომცემლობასთან წინასწარ შეთანხმებული ფორმით, არაუგვიანეს 2018 წლის 17 ნოემბრისა;

7.2.8. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვიდან მინიმუმ 10 (ათი) წლის განმავლობაში უზრუნველყოს მისი უფლებამოსილებების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო შენახვა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივი წარდგენა - გამომცემლობის მოთხოვნისას.

7.3. გამომცემლობა ვალდებულებას კისრულობს:

7.3.1. დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

7.4. *გამომცემლობა უფლებამოსილია:*

7.4.1. საჭიროების შემთხვევაში საგამომცემლო პროდუქტის ყდაზე ან შიდა გვერდზე ან/და რაიმე სხვა ფორმით განათავსოს სხვადასხვა სარეკლამო მასალები და ლოგოები;

7.4.2. განახორციელოს კორექტურა და რედაქტირება;

7.4.3. მოსთხოვოს საავტორო უფლების მფლობელს ზიანის ანაზღაურება, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ზიანის პროპორციულად;

7.4.4. დააკისროს პირგასამტეხლო საავტორო უფლების მფლობელს 7.2.7. პუნქტის დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

7.4.5. იმ შემთხვევაში თუ საავტორო უფლების მფლობელი დააგვიანებს ან საერთოდ არ გადასცემს გამომცემლობას ნაწარმოებს, გამომცემლობა უფლებამოსილია დააკისროს საავტორო უფლების მფლობელს პროექტის გამოსაცემად მომზადებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

8. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის წესი

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით;

8.1.3. საქართველოს კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. დამატებითი პირობები

9.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დაიშვება მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით, ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ აქვს.

9.2. მხარეთა შორის წამოჭრილი სადავო საკითხები გადაწყდება მოლაპარაკებებისა და ურთიერთშეთანხმების გზით, თუ მხარეები ვერ მორიგდნენ დავას წყვეტს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეები

სპეციალურად თანხმდებიან, რომ დავის განხილვის, მათ შორის სასამართლო დავის განხილვის ადგილია ქალაქი თბილისი.

9.3. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

9.4. ხელშეკრულება არ შეიცავს დამატებით რაიმე სიტყვიერ შეთანხმებას.

9.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

10. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამომცემლობა	საავტორო უფლების მფლობელი
შპს "გამომცემლობა პალიტრა L"	შპს „გამომცემლობა ტრიასი"
ს/კ:205236369	ს/კ: 405060801
მის.: ქ.თბილისი; იოსებიძის ქ.#49	მის.: ქ.თბილისი,რობაქიძისქ.№7
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"	ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
/ა: GE32TB7783236020100002	ა/ა: GE18TB7117536080100006
დირექტორი: ----------	საავტორო უფლების მფლობელი: ----------
//თ.ასათიანი//	// ე. არსენაშვილი//

დანართი №1

ავტორები/საავტორო უფლების მფლობელები

ავტორთა ჯგუფი კლასების მიხედვით:

1კლ ირინე იაშვილი
ლელა ქისტაური
ნინო მესხორაძე
ხათუნა რაზმაძე

2კლ ირინე იაშვილი
ლელა ქისტაური
ნინო მესხორაძე
ხათუნა რაზმაძე

3კლ ირინე იაშვილი
ნინო მხეიძე
მაგდანა აბესაძე

4 კლ ირინე იაშვილი
ნინო მხეიძე
მაგდანა აბესაძე

5კლ ირინე იაშვილი
ნინო მხეიძე
მაგდანა აბესაძე

6კლ ირინე იაშვილი
ნინო მხეიძე
მაგდანა აბესაძე

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამომცემლობა
შპს "გამომცემლობა პალიტრა L"
ს/კ:205236369
მის.: ქ.თბილისი; იოსებიძის ქ.#49
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
/ა: GE32TB7783236020100002
დირექტორი: ----------

საავტორო უფლების მფლობელი
შპს „გამომცემლობა ტრიასი"
ს/კ: 405060801
მის.: ქ.თბილისი,რობაქიძისქ.№7
ბანკი: ს.ს. ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE18TB7117536080100006
საავტორო უფლების მფლობელი: ----------

შეთანხმება

მხარეთა შორის 14..11.2018 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაში
დამატებების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი 07.12.2018 წ.

ერთი მხრივ, შპს "გამომცემლობა პალიტრა L" (ს/კ:205236369) (შემდეგში მოხსენიებული როგორც "გამომცემლობა"), წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ ასათიანის სახით, და
მეორე მხრივ, შპს "გამომცემლობა ტრიასი" (ს/კ:405060801), წარმოდგენილი მისი დირექტორის ელდარ არსენაშვილის სახით (შემდეგში მოხსენიებული როგორც „საავტორო უფლების მფლობელი"), ვინაიდან მხარეთა შორის 14.11.2018 წელს გაფორმებულია ხელშეკრულება - მის საფუძველზე, ხელშეკრულებაში დამატებების შეტანის მიზნით ვთანხმდებით შემდეგზე:

1.მხარეთა შორის 14.11.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების 2.1. პუნქტს დაემატოს შემდეგი:
"მხარეები აზუსტებენ, რომ გამომცემლობა უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაწარმო(ებ)ები გადაამუშავოს მისი შეხედულებისამებრ, წიგნის, რვეულის ან/და რაიმე სხვა ფორმატით გამოსაცემად ან/და ელექტრონულად განსათავსებლად ან/და აუდიო პროდუქტის შესაქმნელად და გადამუშავებული ნაწარმოები გამოიყენოს მისი შეხედულებისამებრ, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმება-ინფორმირებისა და ანაზღაურების გარეშე".
2.მხარეთა შორის 14.11.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების 2.3. პუნქტს და 3.3. პუნქტს დაემატოს შემდეგი:
„ხოლო იმ ნაწარმოებებზე, რომელთაც არ აქვთ მიღებული გრიფი უფლებების გადაცემა გამომცემლობაზე ხდება 6 (ექვსი) წლის ვადით."
3. მხარეთა შორის 14.11.2018 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებას დაემატოს ქვემოთჩამოთვლილი პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„7.2.9. გადასცეს გამომცემლობას ნაწარმოებები იმ სახით, რა სახითაც მოპოვებულია მასზე გრიფი, ხოლო გრიფმიუნიჭებელი ნაწარმოებები საბოლოო სახით.
7.2.10. არ მოახდინოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული არცერთი ნაწარმოების თავად დამოუკიდებელი ბეჭდვა ან/და რეალიზაცია, ან/და რაიმე მოქმედება, რაც ხელს შეუშლის გამომცემლობას მისი უფლებების სათანადო რეალიზებაში და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებაში.
7.2.11. გამომცემლობის მოთხოვნის შემთხვევაში, წინამდებარე ნაწარმოებებთან ან/და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გადასცეს გამომცემლობას ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი გონივრულ ვადებში, საკუთარი ხარჯით.

7.2.12. გამომცემლობის მოთხოვნის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით, ნებისმიერი გაურკვევლობის დროს დაუყოვნებლივ ჩაერთოს მოლაპარაკებასა თუ საკითხის გარკვევაში.

7.2.13. მოაგვაროს ნებისმიერი გაურკვევლობა ავტორთა ჯგუფთან, ამასთან, საავტორო უფლების მფლობელი აცხადებს, რომ მას არ გააჩნია არანაირი ფინანსური ვალდებულება ავტორთა ჯგუფთან, შესაბამისად, ასეთის არსებობის/დადასტურების შემთხვევაში, იგი ვალდებულია დროულად დაფაროს დავალიანება.

7.2.14. გამომცემლობა აღჭურვოს ყველა შესაბამისი მასალით/უფლებით ნაწარმოებების გამომცემლობის ვებ გვერდზე განსათავსებლად, აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა საჭირო პროცედურაზე იზრუნოს თავად, მათ შორის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან გაფორმებულ დოკუმენტში საჭიროების შემთხვევაში შესატან შესაბამის ცვლილებაზე.

7.2.15. გადასცეს გამომცემლობას მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რაც გამოთხოვილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსაგან 2018 წლის 4 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების 3.2.9. მუხლის შესაბამისად, მათ შორის საჯარო და კერძო სკოლების სია, დეტალური მონაცემებით (ტირაჟები/დასახელებები/ოდენობები და სხვ.).

7.2.16. გადასცეს გამომცემლობას კერძო სკოლების შესახებ სრული და დეტალური ინფორმაცია, მათთან ნაწარმოებების არსებობისა და მათი ოდენობების შესახებ.

7.2.17. არ დაუშვას სხვა პირებზე რაიმე ფორმით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნაწარმოებებზე უფლების გადაცემა ან/და გამომცემლობის გარდა სხვა პირების მიერ რაიმე ფორმით ნაწარმოებების განკარგვა.

7.2.18. აგოს პასუხი ზიანზე, მათ შორის პირგასამტეხლოსა და ჯარიმებზე, რაც დადგება მის მიერ განათლების სამინისტროსთან 2018 წლის 4 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7.2.18. არ გაავრცელოს ნაწარმოების არცერთი ეგზემპლარი (ასეთის შემთხვევაში) გამომცემლობის გვერდის ავლით, 7.2.19. მის მიერ გაცემული გარანტიის სისწორეზე, რომ მას არ გააჩნია ნაწარმოებების არცერთი ეგზემპლარი ნაშთი.

7.2.20. გამომცემლობის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადასცეს გამომცემლობას ავტორებისთვის გაცემული ჰონორარის შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია, განმარტება/ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის ჰონორარის გამოანგარიშების წესის შესახებ.

7.2.21. გადასცეს გამომცემლობას ყველა ნაწარმოების 2 (ორი) ეგზემპლარი.

7.2.22. წარუდგინოს გამომცემლობას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შესაბამისი თანხმობა საავტორო უფლებების გამომცემლობაზე გადაცემის თაობაზე, ასევე ითანამშრომლოს გამომცემლობასა და საავტორო უფლებების მფლობელს შორის გაფორმებული დოკუმენტების წარდგენა-შეთანხმება-დადასტურების მიზნით თავად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან, გამომცემლობასთან შეთანხმებით.

---------- ----------

7.2.23. აგოს პასუხი იმ ჯარიმა/პირგასამტეხლოებზე, რაც დადგება მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით ან/და არაჯეროვანი შესრულებით.

7.2.24. გაუწიოს დახმარება, გამომცემლობის მოთხოვნის შემთხვევაში - გამომცემლობას სკოლებთან და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან მოლაპარაკებაში და ნაწარმოებების პრომოციაში.

7.2.25. მის მიერ გაცემული გარანტიის სისწორეზე, რომ მას არ გააჩნია არცერთ ავტორთან დავალიანება და გამომცემლობა ვალდებული იქნება მოახდინოს მხოლოდ 14.11.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გამომცემლობის მიერ დაბეჭდილი ნაწარმოებების შესაბამისად, ჰონორარის გადახდა ავტორებზე მხოლოდ ტირაჟის მიხედვით."

4. მხარეთა შორის 14.11.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლს დაემატოს 4.2. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4.2. წინამდებარე ხელშეკრულება მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ."

4. მხარეთა შორის 14.11.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მე-6 მუხლს დაემატოს 6.9. პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.9. საავტორო უფლების მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 7.2. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, გამომცემლობა უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაიხადოს ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% (ათი) პროცენტის ოდენობით, ყოველ დარღვევაზე და აანაზღაუროს ზიანი."

5. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ინახება ხელმომწერ მხარეებთან და წარმოადგენს 14.11.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. წინამდებარე შეთანხმებაში ცვლილება შესაძლოა შევიდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, რაზეც იქნება ორივე მხარის ხელმოწერა.

7.მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

გამომცემლობა	საავტორო უფლების მფლობელი
შპს "გამომცემლობა პალიტრა L"	შპს „გამომცემლობა ტრიასი"
ს/კ:205236369	ს/კ:405060801
დირექტორი: ----------	საავტორო უფლების მფლობელი: ----------
//თ.ასათიანი//	//ელდარ არსენაშვილი//

ქ.თბილისი 07/12/2018

შეთანხმება გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების გადაცემის შესახებ

წინამდებარე შეთანხმება უფლებისა და მოვალეობების გადაცემისა და დათმობის შესახებ (შემდგომში "შეთანხმება") დაიდო 2018 წლის 7 დეკემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

შპს "გამომცემლობა ტრიასი" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405060801) წარმოდგენილი მისი დირექტორის **ელდარ არსენაშვილის** (დაბადების თარიღი: 22.07.1940; პირადი ნომერი 13001036086) ("**უფლების გადამცემი**")

და

შპს გამომცემლობა "პალიტრა L" (საიდენტიფიკაციო ნომერი: 20523669) წარმოდგენილი მისი დირექტორის **თინათინ ასათიანი** (დაბადების თარიღი: 04.09.1985; პირადი ნომერი: 60002018180) მიერ ("**უფლების მიმღები**" ან/და "**კომპანია**")

უფლების გადამცემი და უფლების მიმღები შემდგომში ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც **"მხარეები"**, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც **"მხარე"**.

ვინაიდან, უფლების გადამცემსა და სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" (შემდგომში სააგენტო) შორის 2018 წლის 04 აპრილს გააფორდა ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულება (შემდგომში "ძირითადი ხელშეკრულება");

ვინაიდან, უფლების გადამცემს სურს, გადასცეს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე **გარკვეული უფლება - მოვალეობები** უფლების მიმღებს, ხოლო თავის მხრივ უფლების მიმღებს სურს მიიღოს ხსენებული გარკვეული უფლებები და ვალდებულებები;

ვინაიდან, ძირითადი ხელშეკრულების თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების გადაცემა საჭიროებს სააგენტოს წერილობით თანხმობას.

შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერაზე შემდეგი პირობებისა და დებულებების თანახმად:

1. წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან უფლების გადამცემი უფლების მიმღებს გადასცემს ძირითადი ხელშეკრულებიდან გამომდინარე **გარკვეულ უფლება-მოვალეობებს. მხარეთა შორის 14.11.2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებისა და 07.12.2018 წელს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად და ფარგლებში.**

2. უფლების გადამცემი ვალდებულია წარადგინოს წინამდებარე დოკუმენტი სააგენტოში, გადაცემის თაობაზე წერილობითი თანხმობის მოპოვების მიზნით.

3. მხარეები თანხმდებიან და იღებენ ვალდებულებას, რომ შეასრულებენ ყველა ვალდებულებას წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან. ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხისმგებლები არიან

თ. ასათიანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, იმ შემთხვევაში თუ გაცემული იქნება სააგენტოს წერილობითი თანხმობა ამ შეთანხმების გაფორმებაზე.

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის სააგენტოს მიერ ამ შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით წერილობითი თანხმობის უფლების მიმღების მიერ მიღების მომენტიდან.

6. გარკვეული უფლებების და მოვალეობების გადაცემისთვის მხარეთა შორის ფინანსური პირობები განისაზღვრება ცალკე შეთანხმებით.

7. შეთანხმება დადებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, 2 (ორი) ეგზემპლარი მხარეებისთვის გადასაცემად, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი სააგენტოში წარდგენის მიზნით.

შპს "გამომცემლობა ტრიასი"	"შპს გამომცემლობა "პალიტრა L" "
დირექტორი	დირექტორი
ელდერ არსენაშვილი	თინათინ ასათიანი
---	---

ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულება
N04/08/18-382

CPV კოდი: 92312212-სასწავლო სახელმძღვანელოების მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურებები
SMP 180001052

ქ. თბილისი 4 აგვისტო 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო"(შემდგომში - „სააგენტო") , წარმოდგენილი დირექტორის ზვიად როსტომაშვილის სახით

და

მეორე მხრივ, საავტორო უფლების მფლობელი შპს „გამომცემლობა ტრიასი" (საიდენტიფიკაციო N405060801 , შემდგომში - „საავტორო უფლების მფლობელი") წარმოდგენილი დირექტორის ელდარ არსენაშვილი (პირადი N13001036086) სახით *(გრიფირების განაცხადის რეგისტრაციის N382 ქართული ენა და ლიტერატურა II-IV კლ.)*, (ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები")

ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 მაისის N1163 განკარგულებს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის №28/ნ ბრძანებითა (შემდგომში - გრიფირების წესი) და „სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (შემდგომში - სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესი და პირობები), ვდებთ წინამდებარე ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საავტორო ჰონორარის სანაცვლოდ, საავტორო უფლების მფლობელის მიერ სააგენტოსათვის წინამდებარე

ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული ,გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გამოყენების უფლების (რეპროდუცირება, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება) გადაცემა გრიფის მოქმედების ვადით, „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების სახელმძღვანელოებით/სერიებით უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 2. საავტორო ჰონორარის გადახდის წესი და პირობები

2.1. საავტორო ჰონორარი (შემდგომში - ჰონორარი) განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს და მოიცავს:

2.1.1. საბაზისო ჰონორარს, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ, ერთჯერად თანხას.

2.1.2. ჰონორარს ტირაჟის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამით გათვალისწინებული ბენეფიციარების გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოთი/სერიით უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის ტირაჟის მიხედვით გამოანგარიშებულ თანხას და გადაიხდება ყოველწლიურად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

2.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, შემდეგი წესით:

2.2.1. საბაზისო ჰონორარის გადახდა ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.2.2. შესაბამისი წლისთვის, ტირაჟის მიხედვით ჰონორარის გადახდა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით საქართველოს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განსაზღვრული სასწავლო წლის დაწყების თარიღამდე.

2.3. სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავებასთან (თარგმნა/ბრაილის ფორმატში გადაყვანა) დაკავშირებით, მხარეები შეიძლება წერილობით შეთანხმდნენ სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავების ღირებულებაზე, რაც, ამავე შეთანხმებით, შეიძლება აისახოს ამ ხელშეკრულების 2.1.2 პუნქტით განსაზღვრულ ჰონორარის ოდენობაზე - გადამუშავებული სახელმძღვანელოებისათვის/სერიისთვის. აღნიშნულ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება ამ ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტის შესაბამისად. სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავებასთან (თარგმნა/ბრაილის ფორმატში გადაყვანა) დაკავშირებით მხარეთა შეუთანხმებლობის ან ამა თუ იმ მიზეზით, საავტორო უფლების მფლობელის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავებაზე (თარგმნა/ბრაილის ფორმატში გადაყვანა) უარის თქმის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების 3.2.4 პუნქტით განსაზღვრული წესით, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის გადამუშავ...

უზრუნველყოფს სააგენტო თავად ან მესამე პირის მეშვეობით და დაფარავს სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავების (თარგმნა/ბრაილის ფორმატში გადაყვანა) ხარჯებს. საავტორო უფლების მფლობელისათვის გადასახდელი ტირაჟის მიხედვით ჰონორარი განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 2.1.2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო ანგარიშსწორება ხორციელდება ამ ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტის მიხედვით.

მუხლი 3. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

3.1. საავტორო უფლების მფლობელს უფლება აქვს:

3.1.1. სააგენტოსგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მისთვის მიწოდება;

3.1.2. სააგენტოსგან მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება და ჰონორარის გადახდა ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით;

3.1.3. შეუზღუდავად და დამოუკიდებლად გამოსცეს და გაავრცელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სერია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამით გათვალისწინებული კატეგორიების ბენეფიციარების გარდა;

3.1.4. გრიფირების წესის მე-17 მუხლით დადგენილი წესით, სააგენტოსთან შეთანხმებით, განახორციელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავება (ბრაილის ფორმატში გადაყვანა/ელექტრონული ფორმატი/თარგმნა);

3.1.5. გრიფირების წესის მე-18 მუხლით დადგენილი წესით, განახორციელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის განახლება;

3.1.6. გრიფირების წესითა და წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუფერხებლად შესრულების მიზნით, სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობით, ამ მუხლით გათვალისწინებული თავისი უფლებები და ვალდებულებები სრულად ან ნაწილობრივ, ხელშეკრულებით გადასცეს მესამე პირს. ამ შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელის უფლებები და ვალდებულებები მესამე პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი საავტორო უფლების მფლობელის ხელში იყვნენ. დაუშვებელია მესამე პირისათვის საავტორო უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემამ გამოიწვიოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ჰონორარის გაზრდა;

3.1.7. განახორციელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის მარკეტინგი (სამინისტროს/ სააგენტოს ხელშეწყობით საჯარო სკოლებში შესაბამის სახელმძღვანელოზე/სერიაზე ინფორმაციის გავრცელება, მასწავლებლებთან შესაბამისი ავტორ-გამომცემლების შეხვედრების ორგანიზება და სხვ);

3.1.8. წინამდებარე ხელშეკრულების 3.2.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული მოლაპარაკებისა და ითანამშრომლობის ფარგლებში, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავების ვალდებულების აღების შემთხვევაში, თავად ან სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობით მესამე პირის მეშვეობით განახორციელოს სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავება.

3.1.9. გამოიყენოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

3.2. საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია:

3.2.1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის დაბეჭდვის/გამოცემის შემთხვევაში, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სერია დაბეჭდოს/გამოსცეს იმ სახით, რა სახითაც მიენიჭა გრიფი ან მისი გადამუშავება შეითანხმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო). საავტორო უფლების მფლობელის მიერ სახელმძღვანელოს/სერიის ამ პუნქტისაგან განსხვავებული სახით დაბეჭდვის/გამოცემის შემთხვევაში, დაუშვებელია მასზე ისეთი სახის აღნიშვნის/მითითების გაკეთება, რომელიც ახდენს მის ასოცირებას გრიფმინიჭებულ ან/და სამინისტროსთან შეთანხმებულ გადამუშავებულ სახელმძღვანელოსთან/სერიასთან;

3.2.2. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო/სერია გამოიყენოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;

3.2.3. ამ ხელშეკრულების 3.1.6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მესამე პირს გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ამ უფლებების გამოყენებისათვის და ვალდებულებების შესრულებისათვის. საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია მესამე პირისათვის თავისი უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება მის გაფორმებამდე შეათანხმოს სააგენტოსთან;

3.2.4. სამინისტროს დაინტერესების შემთხვევაში, მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებებში და ითანამშრომლოს მასთან გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავების საკითხზე. იმ შემთხვევაში, თუკი საავტორო უფლების მფლობელი ამა თუ იმ მიზეზით უარს იტყვის სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავების (თარგმნა/ბრაილის ფორმატში გადაყვანა) ვალდებულების აღებაზე, სააგენტო უფლებამოსილია თავად ან მესამე პირების საშუალებით უზრუნველყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის გადამუშავება და გადამუშავებული სახელმძღვანელოს/სერიის რეპროდუცირება, გავრცელება/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება. აღნიშნულ შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია სააგენტოს გადასცეს მის მფლობელობაში არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავებისათვის.

3.2.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საავტორო უფლების, მფლობელის მიზეზით შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულებით გადასცეს მესამე პირს სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. ამ შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელის უფლებები და ვალდებულებები მესამე პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი საავტორო უფლების მფლობელის ხელში იყვნენ. დაუშვებელია მესამე პირისათვის საავტორო უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემამ გამოიწვიოს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ჰონორარის ზრდა.

3.2.6. უზრუნველყოს სააგენტოსთვის წარდგენილი, მის მიერ ადმინისტრირებადი, სახელმძღვანელოს/სერიის ვებგვერდის შეუფერხებელი ფუნქციონირება. ვებგვერდი შეიძლება განთავსდეს სახელმძღვანელოსათვის/სერიისთვის სპეციალურად გამოყოფილ პირველი დონის დომენზე GE ზონაში ან ცალკე ქვედომენზე გამომცემლის ვებგვერდზე. ვებგვერდი შეუზღუდავად უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც ლოკალური, ასევე გლობალური ქსელიდან. საავტორო უფლების მფლობელმა გამომცემელმა უნდა უზრუნველყოს ვებგვერდის ტექნიკური გამართულობა, სანდოობა და უსაფრთხოება გრიფის მოქმედების ვადის განმავლობაში, ასევე, არ დაუშვას რაიმე სახის რეკლამის განთავსება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რეკლამა დაკავშირებულია საგანმანათლებლო რესურსთან (დამხმარე ლიტერატურა; საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოები (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.), ასევე არ დაუშვას ნებისმიერი ისეთი ბმულის/ინფორმაციის განთავსება, რომლებიც არ შეესაბამება „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების" დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილებით დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებსა და „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნებს.

3.2.7. სააგენტოს მოთხოვნით, მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის მასის შემცირების მიზნებისათვის, უზრუნველყოს მათი დაყოფა არაუმეტეს 4 (ოთხი) ნაწილად;

3.2.8. კერძო სკოლების მოსწავლეების სახელმძღვანელოებით/სერიებით უზრუნველყოფის მიზნით, მხოლოდ სააგენტოს თანხმობით, მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის მასის შემცირების მიზნებისათვის, უზრუნველყოს მათი დაყოფა არაუმეტეს 4 (ოთხი) ნაწილად. საავტორო უფლების მფლობელის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელება არ უნდა არღვევდეს „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონსა და ამ სფეროში არსებულ სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებს;

3.2.9. ყოველწლიურად უზრუნველყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ნაბეჭდი გამოცემების ხელმისაწვდომობა მათი რეალიზაციის გზით, იმ კერძო სკოლების მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ არიან „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამის ბენეფიციარები და ამ მიზნით, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კერძო სკოლების მოსწავლეთა რაოდენობების შესახებ კლასებისა და სკოლების მიხედვით. საავტორო უფლების მფლობელის მიერ ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელი თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულების 5.6 პუნქტით განსაზღვრული პასუხისმგებლობისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის თაობაზე, საავტორო უფლების მფლობელი ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში წერილობით აცნობებს სააგენტოს. აღნიშნულ შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელი სააგენტოს გადასცემს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გამოყენების უფლებას (რეპროდუცირება, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება) გრიფის მოქმედების ვადით იმ კერძო სკოლების მოსწავლეების გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით/სერიებით უზრუნველყოფის მიზნით, რომლებიც არ არიან „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამის ბენეფიციარები.

3.2.10. უზრუნველყოს მასწავლებლებისთვის მასწავლებლის წიგნის ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომობა და გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს სერიის ელექტრონული რესურსების თავისუფალი და შეუზღუდავი ხელმისაწვდომობა სააგენტოსთვის წარდგენილი, მის მიერ ადმინისტრირებადი ვებგვერდის მეშვეობით;

3.2.11. სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია და ნებისმიერი დოკუმენტი წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების შესახებ;

3.2.12. დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

3.2.13. გადაუხადოს ჰონორარი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიისა და სახელმძღვანელოში შემავალი ნაწარმოების ავტორებს (იმ შემთხვევაში, თუ თავად არ არის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის ან ამ სახელმძღვანელოში შემავალი ნაწარმოების ავტორი);

3.2.14. გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოზე/სერიაზე საავტორო უფლებებთან დაკავშირებით მესამე პირებთან დავის წარმოშობის შემთხვევაში, აწარმოოს მოლაპარაკებები და აიღოს სრული პასუხისმგებლობა მის მიერ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის დარღვევისათვის ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებაზე;

3.2.15. სააგენტოს გადასცეს საბეჭდი ფაილი, ასევე განახლებული საბეჭდი ფაილი გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოში/სერიაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში;

3.2.16. სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე, დაუყოვნებლივ აღმოფხვრას საბეჭდ ფაილში აღმოჩენილი ხარვეზი;

3.2.17. სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია საბეჭდი ფაილის „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში სასკოლო სახელმძღვანელოების რეპროდუცირების მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.2.18. სამინისტროს/სააგენტოს მიერ დადგენილ ვადაში, დადგენილი წესით გარანტორს წარუდგინოს ინფორმაცია სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ საავტორო ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტი) შესახებ;

3.2.19. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

3.3. სააგენტოს უფლება აქვს:

3.3.1. შეამოწმოს საავტორო უფლების მფლობელის მიერ გადაცემული საბეჭდი ფაილ(ებ)ი.

3.3.2. მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის მასის შემცირების მიზნით, საავტორო უფლების მფლობელისგან მოითხოვოს მათი დაყოფა არაუმეტეს 4 (ოთხი) ნაწილად;

3.3.3. საბეჭდ ფაილში ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელისგან მოითხოვოს მისი დაუყოვნებლივ აღმოფხვრა;

3.3.4. საავტორო უფლების მფლობელისგან მოითხოვოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/ სერიის გადამუშავებასთან (ბრაილის ფორმატში გადაყვანა/ელექტრონული ვერსიების შექმნა/თარგმნა) დაკავშირებით მოლაპარაკების წარმოება და თანამშრომლობა. ხოლო საავტორო უფლების მფლობელის მიერ ამა თუ იმ მიზეზით გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/ სერიის გადამუშავების ვალდებულების აღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თავად ან მესამე პირების საშუალებით უზრუნველყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის გადამუშავება და გადამუშავებული სახელმძღვანელოს/სერიის რეპროდუცირება, გავრცელება/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება. აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია საავტორო უფლების მფლობელს მოსთხოვოს მის მფლობელობაში არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გადამუშავებისათვის.

3.3.5. საავტორო უფლების მფლობელს დასაბუთებული უარი უთხრას ამ ხელშეკრულების 3.1.6. პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმებაზე მესამე პირთან ან/და საავტორო უფლების მფლობელისაგან მოითხოვოს მესამე პირის შეცვლა. სააგენტოს ასევე

უფლება აქვს, საავტორო უფლების მფლობელს მოსთხოვოს ამ ხელშეკრულების 3.1.6 პუნქტის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების პირობების ამ ხელშეკრულების პირობებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;

3.3.6. ამ ხელშეკრულების 3.2.12 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელს მოსთხოვოს ამ ხელშეკრულების 3.2.5 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმება;

3.3.7. გაუწიოს მონიტორინგი ხელშეკრულების პირობების შესრულებას და ამ მიზნით, საავტორო უფლების მფლობელისაგან მოითხოვოს და მიიღოს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, შეამოწმოს საავტორო უფლების მფლობელის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასალებში მითითებული ინფორმაციის სისწორე;

3.3.8. განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

3.4. სააგენტო ვალდებულია:

3.4.1. საავტორო უფლების მფლობელს გადაუხადოს ჰონორარი ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლით დადგენილი წესითა და პირობებით;

3.4.2. მოთხოვნის შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელს არანაკლებ 7 დღის ვადაში მიაწოდოს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ინფორმაციის მიწოდების ვადა უნდა იყოს გონივრული და იძლეოდეს შესაძლებლობას სააგენტოს მიერ შესაბამისი სახის/მოცულობის ინფორმაციის დამუშავებისთვის და მიწოდებისათვის;

3.4.3. ტირაჟის დასადგენად იხელმძღვანელოს სკოლების მიერ შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების შესახებ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის" მონაცემებით;

3.4.4. განახორციელოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის რეპროდუცირების, გავრცელების/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის, საჭიროების შემთხვევაში გადამუშავების, ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენების და დისტრიბუციის მომსახურებათა სახელმწიფო შესყიდვა, შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება და მათი შესრულების მონიტორინგი;

3.4.5. გრიფირებული სახელმძღვანელო/სერია გამოიყენოს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით;

3.4.6. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში რეპროდუცირებულ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებზე/სერიებზე (მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, მასწავლებლის წიგნი) საიდენტიფიკაციო ჭდის განთავსება;

3.4.7. საავტორო უფლების მფლობელისგან მოითხოვოს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ საავტორო ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტი) შესახებ ინფორმაციის წარდგენა გარანტორისათვის;

3.4.8. შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა ვალდებულებები.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით საავტორო უფლების მფლობელი აცხადებს, რომ სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში, სრულად და ჯეროვნად შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს და გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს/სერიას გამოიყენებს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" და „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონების და გრიფირების წესის მოთხოვნათა დაცვით;

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით საავტორო უფლების მფლობელი აცხადებს, რომ გაეცნო სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესსა და პირობებს და ეთანხმება მასში არსებულ დებულებებს სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისათვის გრიფის მინიჭების შემთხვევაში ტირაჟის ოდენობის მიხედვით დასაანგარიშებელ საავტორო ჰონორარზე მისთვის მისაღები ფასდაკლების (პროცენტულ) ოდენობის კონფიდენციალობასა და გასაჯაროვებასთან დაკავშირებით.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის

5.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

5.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ხელშეკრულების წლიური ღირებულება იანგარიშება საბაზისო ჰონორარისა და ტირაჟის მიხედვით ჰონორარის ჯამური ღირებულებით ხელშეკრულების მოქმედების პირველ წელს, ხოლო მომდევნო წლებში მხოლოდ ტირაჟის მიხედვით ჰონორარით.

5.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება წარმოადგენს წლიური ღირებულების ნაზარდ ჯამს.

5.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს წერილობით ეცნობება ვალდებულების დარღვევის თაობაზე და განესაზღვრება გონივრული ვადა, მაგრამ არაუმეტეს 30 კალენდარული დღისა, მის აღმოსაფხვრელად.

5.5. ამ მუხლის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, სააგენტო უფლებამოსილია საავტორო უფლების მფლობელს:

5.5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების (გარდა 3.2.5, 3.2.6 და 3.2.9 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა) დარღვევის შემთხვევაში, ერთჯერადად დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების წლიური ღირებულების 5%-ის (ხუთი პროცენტი) ოდენობით. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს საავტორო უფლების მფლობელს შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.5.2. სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობის მოპოვებასთან დაკავშირებით ამ ხელშეკრულების 3.1.8 და 3.2.5 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ერთჯერადად დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების წლიური ღირებულების 5%-ის (ხუთი პროცენტი) ოდენობით. ამ შემთხვევაში, საავტორო უფლების მფლობელის პასუხისმგებლობა დგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 397-ე მუხლით დადგენილი წესით.

5.5.3. ჩვეულებრივი ლიცენზიის ხელშეკრულების მესამე პირთან გაფორმებასთან დაკავშირებული ამ ხელშეკრულების 3.2.5 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ერთჯერადად დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების წლიური ღირებულების 5%-ის (ხუთი პროცენტი) ოდენობით. ამასთან, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია თავად ან მესამე პირების საშუალებით უზრუნველყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის რეპროდუცირება, გადამუშავება, გავრცელება/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება. სააგენტოს მიერ ამისათვის გაწეული ხარჯი სრულად დაეკისრება საავტორო უფლების მფლობელს.

5.5.4. ვებგვერდის გამართულ ფუნქციონირებასთან, განთავსებასთან, ხელმისაწვდომობასთან, სანდოობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების 3.2.6 პუნქტით დადგენილი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვებგვერდის ფუნქციონირების შეფერხების (სერვერზე განთავსებული ინფორმაცის დაცულობის დარღვევა, ისეთი პრობლემები, რომელიც აჩერებს ვებგვერდს და ხელს უშლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის დროულ, უწყვეტ და უსაფრთხო მდგომარეობას) შემთხვევაში, შეუსრულებლობის/შეფერხების ყოველ დღეზე დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების წლიური ღირებულების 0.5%-ის (ხუთი მეათედი პროცენტი) ოდენობით. ამ პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების ერთ თვეზე მეტ ხანს შეუსრულებლობის/არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია თავად უზრუნველყოფს ვებგვერდის შექმნა და მასზე მასწავლებლის წიგნის ელექტრონული ვერსიის, ასევე გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს სერიის ელექტრონული რესურსების განთავსება. სააგენტოს მიერ ამისათვის გაწეული ხარჯი სრულად დაეკისრება საავტორო უფლების მფლობელს.

5.5.5. რეკლამის/ბმულის/ინფორმაციის განთავსების დაუშვებლობასთან დაკავშირებული ხელშეკრულების 3.2.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის ყოველ დღეზე, დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების წლიური ღირებულების 0.5%-ის (ხუთი მეადეთი პროცენტი) ოდენობით.

5.6. ამ ხელშეკრულების 3.2.9 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ სკოლის წერილობითი ცნობით დადგინდება, რომ სასწავლო პროცესის დაწყებამდე 1 კვირით ადრე ამ ხელშეკრულების 3.2.9 პუნქტში განსაზღვრული სკოლის მოსწავლეებისთვის არ არის უზრუნველყოფილი ან არასრულად არის უზრუნველყოფილი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიების ნაბეჭდი გამოცემების ხელმისაწვდომობა, სააგენტო უფლებამოსილია საავტორო უფლების მფლობელს განუსაზღვროს დამატებითი გონივრული ვადა არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) დღისა. მოცემულ ვადაში ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია საავტორო უფლების მფლობელს დააკისროს ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5%-ის (ხუთი მეათედი პროცენტი) ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე და დაიწყოს სახელმძღვანელოს ალტერნატიული ბეჭდვა. ალტერნატიული ბეჭდვის განხორციელებისათვის გაღებული ხარჯი ექვემდებარება საავტორო უფლების მფლობელის მიერ სრულად ანაზღაურებას.

5.7. ამ მუხლის 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ, საავტორო უფლების მფლობელი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების 3.4.1 და 3.4.2 ქვეპუნქტებთ გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, სააგენტოსგან ერთჯერადად, ჯარიმის სახით მოითხოვოს, ხელშეკრულების წლიური ღირებულების 0.5% ვალდებულების დარღვევის ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს სააგენტოს შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისაგან.

5.8. ამ მუხლის 5.5 და 5.6 პუნქტებით გათვალისწინებული ჯარიმები და საავტორო უფლების მფლობელის მიერ ასანაზღაურებელი სააგენტოს მიერ გაწეული ხარჯები შეიძლება გამოიქვითოს 2.2.2. ან/და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებული ჰონორარიდან.

5.9. თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ზიანის ანაზღაურება დამრღვევ მხარეს არ ათავისუფლებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

5.10. სააგენტო პასუხს არ აგებს საავტორო უფლების მფლობელის ქმედებაზე, რომლის შედეგადაც ზიანი მიადგა მესამე პირ(ებ)ს. იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირ(ებ)ის მიერ გამოთქმული იქნება პრეტენზია ან/და მოთხოვნა საავტორო უფლებებთან, ჰონორართან ან/და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, ეს მოთხოვნები/პრეტენზიები არცერთ შემთხვევაში არ გავრცელდება სააგენტოზე და საავტორო უფლების მფლობელი თვითონ არის

პასუხისმგებელი. საავტორო უფლების მფლობელი ვალდებულია სააგენტოს აუნაზღაუროს ამგვარი მოთხოვნებით/პრეტენზიებით მისთვის მიყენებული ზიანი.

მუხლი 6. დაუძლეველი ძალა

6.1. არცერთი მხარე არ აგებს პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორსმაჟორული გარემოებების) ზემოქმედების გამო, რომელიც დაიწყო ან/და განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ და მისი მოქმედების განმავლობაში.

6.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ფორსმაჟორი არის დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებელად და შეუძლებელია მისი წინასწარ გათვალისწინება, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.3. ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია ასეთი გარემოების დადგომიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და ხელმოწერილი უნდა იქნეს ორივე მხარის მიერ.

მუხლი 8. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

8.1.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლით, თუ არ არსებობს ამ ვადის გაგრძელების პირობები;

8.1.3. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტით, თუ მეორე მხარე არღვევს/არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულების პირობებს და ამგვარ დარღვევას არ გამოასწორებს შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში. აღნიშნული ვადა არ უნდა აღემატებოდეს 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეს;

8.1.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს/სერიის გრიფის მოქმედების ვადით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, სააგენტო უფლებამოსილია თავად ან მესამე პირების საშუალებით უზრუნველყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების/სერიის რეპროდუცირება, გადამუშავება, გავრცელება/მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენება.

მუხლი 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

9.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. ხელშეკრულების მოქმედების პირობები

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის სახელმძღვანელოსთვის/სერიისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული სახელმძღვანელო/სერია შერჩეულ იქნა სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობებით დადგენილი წესით და ამასთანავე არჩეულ იქნა სკოლის მიერ სასწავლო პროცესისათვის. აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს გრიფის მოქმედების ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

10.2 ხელშეკრულება ნაწილობრივ (მხოლოდ იმ კერძო სკოლების მოსწავლეების მიმართებით, რომლებიც არ არიან „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის" პროგრამის ბენეფიციარები) შედის ძალაში სახელმძღვანელოსთვის/სერიისთვის გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული სახელმძღვანელო/სერია არ იქნა შერჩეული სალიცენზიო ხელშეკრულების გაფორმების წესისა და პირობებით დადგენილი წესით. აღნიშნულ შემთხვევაში, ხელშეკრულება ზემოაღნიშნულ ნაწილში მოქმედებს გრიფის მოქმედების ვადით, საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.

10.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს:

10.3.1. მხარეთა შეთანხმებით.

10.3.2. გრიფირების წესის მე-13 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. დაუშვებელია ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლებების ან/და ვალდებულებების მთლიანი ან/და ნაწილობრივი დათმობა ან მესამე პირისათვის გადაცემა, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

11.2. საავტორო უფლების მფლობელის გარდაცვალების შემთხვევაში, მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებამდე, ამ ხელშეკრულების 3.2 და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული საავტორო უფლების მფლობელის უფლებებისა და ვალდებულებების განახორციელებას უზრუნველყოფს სამკვიდროს მმართველი/ანდერძის აღმსრულებელი. მემკვიდრე, სააგენტოსათვის საავტორო უფლების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების 3.2 და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების განახორციელებას. მემკვიდრის მიერ სამკვიდროს მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულების 3.2 და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული საავტორო უფლების მფლობელის უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელებას უზრუნველყოფს სააგენტო თავად ან მესამე პირების მეშვეობით.

11.3. საავტორო უფლების მფლობელი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად უფლებამონაცვლის არარსებობის ან პარტნიორის/პარტნიორების მიერ საავტორო უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სააგენტოს უფლება აქვს ამ ხელშეკრულების 3.2 და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული საავტორო უფლების მფლობელის უფლებები და ვალდებულებები განახორციელოს თავად ან მესამე პირების მეშვეობით. სააგენტოსათვის საავტორო უფლების მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე, საავტორო უფლების მფლობელი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების 3.2 და 3.3. პუნქტებით გათვალისწინებული უფლებებისა და ვალდებულებების განახორციელებას.

11.4. საკითხები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ნებისმიერი საფუძვლით ბათილობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას.

11.6. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე მხარის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

11.7. მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმდებიან, რომ ისინი გაეცნენ ყველა პირობას და სრულად აცნობიერებენ აღებულ პასუხისმგებლობასა და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს.

11.8. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული განცხადებები, გარანტიები, უფლებამოსილებები და რეკვიზიტები (იურიდიული/ფაქტობრივი მისამართის ჩათვლით) შეესაბამება სინამდვილეს და უტყუარია.

11.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელიც თანაბრად ნაწილდება მხარეთა შორის.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

სააგენტო	საავტორო უფლების მფლობელი
სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ მის: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. N1 ს/კ 202294980, სახ. ხაზინა: ა/ა 200122900 კოდი: 220101222	შპს "გამომცემლობა ტრიასი" მის: ქ. თბილისი, გოთუას ქ., №20, ბ. N44 ს/კ 405060801 ბანკი: სს "თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგ. GE18TB7117536080100006
ზვიად როსტომაშვილი დირექტორი	ელდარ არსენაშვილი დირექტორი

დანართი N1

ID		382
საგანი		ქართული ენა და ლიტერატურა
კლასი		II-IV
სახელმძღვანელოს დასახელება		ქართული ენა
ავტორი/ავტორები		ირინე იაშვილი, ლელა ქინტაელი, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე, ნინო მზღუძე, მაკანა ამაძე
სახელმძღვანელოს კომპლექტის მარეგისტრირებელი	მასწავლებლის წიგნი	კი
	მოსწავლის წიგნი	კი
	მოსწავლის რვეული	კი
ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის		არა
ენა		ქართული
სტატუსი		ქართულენოვანი
II კლასის მოსწავლის წიგნის გვერდების რაოდენობა/მოცულობა	I ნაწილი	98
	II ნაწილი	84
II კლასის მოსწავლის რვეულის გვერდების რაოდენობა/მოცულობა		96
III კლასის მოსწავლის წიგნის გვერდების რაოდენობა/მოცულობა	I ნაწილი	102
	II ნაწილი	74
III კლასის მოსწავლის რვეულის გვერდების რაოდენობა/მოცულობა		76
IV კლასის მოსწავლის წიგნის გვერდების რაოდენობა/მოცულობა	I ნაწილი	98
	II ნაწილი	68
IV კლასის მოსწავლის რვეულის გვერდების რაოდენობა/მოცულობა		82
ფასდაკლება		60%
ვებგვერდის მისამართი		www.triaasi.ge
ტირაჟის რაოდენობა კლასების მიხედვით	II	18400
	III	19200
	IV	15300
ტირაჟის ოდენობა 2018-2019 წლისთვის		52900
ბინერული	საბაზისო	45000
	ტირაჟის ოდენობით	116380